KA030100266265818

№ 01-4965/ს **15 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზაზა ბოხუას

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ანალიტიკის, ადამიანური
რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის თამარ ბასილიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის ორგანიზებითა და გლობალური ფონდის დაფინანსებით, მიმდინარე წლის 19-23 ნოემბერს ესპანეთში, ქ.ბარსელონაში დაგეგმილია სასწავლო კურსი, რომლის მიზანია ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებით საუკეთესო შედეგების მიღწევა ტუბერკულიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში.
აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი ეკატერინე ადამია.
ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.
თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ეკატერინე ადამიასთვის მიმდინარე წლის 18 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ ბასილია